

ტრანსსასაზღვრო დეგრადაციის შემცირება მტკვარ-არაქსის აუზში

დაწყების თარიღი : 21-06-2011

დასრულების თარიღი: 20-06-2014

პროექტის აღწერა:

მდინარეების მტკვრისა და არაქსის აუზებში ტრანსსასაზღვრო დეგრადაციის შემცირების პროექტს აქვს 4 ძირითადი კომპონენტი: ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზი, ეროვნული ინტეგრირებული წყლის რესურსები მართვის გეგმების შემუშავება, დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ზრდასთან დაკავშირებული აქტივობები და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება ბიომონიტორინგის და სწრაფი ეკოლოგიური შეფასების გამოყენებით მდინარის წყლის ეკოლოგიური ხარჯის (Environmental Flow) შესასწავლად. პროექტს ანხორციელების პროექტის კოორდინაციის ოფისი თბილისში და ასევე პროექტის ოფისები ერევანსა და ბაქოში. პროექტს ყავს საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული დონის თანამშრომლები, მათ შორის 54 ეროვნული ექსპერტი, რომლებიც მხარს უჭერენ პროექტს თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით.

ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზი შეისწავლის ძირითად ტრანსსასაზღვრო საკითხებს ამ აუზში. ესენია: 1) ჰიდროლოგიურ ნაკადის შემცირება და მისი ვარიაცია; 2) წყლის ხარისხის გაუარესება; 3) ეკოსისტემების დეგრადაცია მდინარეების აუზებში და 4) წყალდიდობების გახშირება და სანაპირო ზოლის ეროზია.

პროექტი თითოეულ ქვეყანას დაეხმარება შექმნას ეროვნული ინტეგრირებული წყლის რესურსები მართვის გეგმა. ეს გეგმები ქვეყნებს დაეხმარება წყლის გამოყენების პრიორიტეტების განსაზღვრაში და რესურსების ოპტიმალური გამოყენების სტრატეგიების შექმნაში. ეს გეგმები დაკავშირებული იქნება ეროვნულ პრიორიტეტებთან და კოორდინირებული იქნება ეროვნული ბიუჯეტის დაგეგმვის ციკლთან.

ძალისხმევის მდგრადობის შესანარჩუნებლად, პროექტი გეგმავს აქცენტი გააკეთოს შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების აქტივობებზე. ეს მოიცავს ტრენინგებს ინტეგრირებული წყლის რესურსები მართვის გეგმების პრიორიტეტულ საკითხებზე სამიზნე აუზების რეგიონში. ტრენინგები ჩატარდება საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული დონის ექსპერტების მიერ, ასევე მოხდება მათი ვიდეო ჩანაწერების სახით გავრცელება პროექტის ვებ-გვერდის საშუალებით. ცნობიერების ამაღლების კამპანია მოცემული აუზების მოსახლეობას დაეხმარება უკეთ გაიგოს წყლის მდგრადი მოხმარების მნიშვნელობა ბუნების და გარემოს შენარჩუნებისთვის.

მდინარეების „ჯანმრთელობის“ შესაფასებლად სტანდარტიზებული მაჩვენებლების შემუშავებაში ქვეყნების დასახმარებლად განხორციელდება სადემონსტრაციო პროექტები. მათი ფოკუსი იქნება მდინარეების დინების ნაკადზე კლიმატის ცვლილების და ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა, მდინარეების ეკოლოგიური შეფასება და ბიომონიტორინგის დანერგვა, რომელიც მდინარეში ცოცხალი ორგანიზმების შესწავლის მეშვეობით აკონტროლებს მის „ჯანმრთელობის“.

პროექტის შედეგები :

განახლებული ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზი, ეროვნული ინტეგრირებული წყლის რესურსები მართვის გეგმები, დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ზრდა და სადემონსტრაციო პროექტები იქნება მყარი საფუძველი საბოლოო შედეგებისთვის, რომელიც არის აუზის სტრატეგიული სამოქმედო პროგრამა. ეს პროგრამა ჰარმონიზებას გაუკეთებს ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს და აუზის მდგრადი მართვის გრძელვადიან მართვის გეგმებს

მიზნობრივი ტარიტორია : საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი

სფერო : წყლის რესურსები

დონორები :

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)

<http://www.thegef.org>

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

<http://www.undp.org/>

ბანახორციელებლები

ორგანიზაცია: Project Coordination Unit, Tbilisi

ტელეფონი: +995 32 229 4933; ელ-ფოსტა: mary.matthews@kura-aras.org

მისამართი: 56 Barnovi St. Tbilisi, Georgia

ვებ-გვერდი: <http://www.kura-aras.org>

საკონტაქტო პირი: მერი მეთიუსი, პროექტის მენეჯერი

ტელეფონი: +995 32 229 4933; ელ-ფოსტა: mary.matthews@kura-aras.org

საკონტაქტო პირი: თამარ გუგუშვილი, ეროვნული კოორდინატორი საქართველოში

ტელეფონი: +995 32 229 4933; ელ-ფოსტა: tamar.gugushvili@kura-aras.org

მაილსტონები

მაილსტონი: წინასწარი შეფასებები

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზი

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ეროვნული გეგმებისა და მოქმედებათა სტრატეგიული პროგრამის შემუშავება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დაინტერესებული მხარეების საქმიანობის ანალიზი

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: სადემონსტრაციო პროექტები წყლის გამოყენების სფეროში კონფლიქტებთან დაკავშირებით

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ჩატარდა IWRM-ის (ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის) აკადემიური ტრენინგები

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დამზადდა პრიორიტეტებზე დაფუძნებული IWRM გეგმები

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ინიცირებულ იქნა რეგიონალური SAP –ი (სტრატეგიული სამოქმედო გეგმა)

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ჩატარდა პროექტის დაინტერესებულ მხარეთა საგანმანათლებლო აქტივობები

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა თბილისის, ბაქოსა და ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტებში

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ჩატარდა სადემონსტრაციო პროექტის ორი კამპანია

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დასრულდა შუალედური ანგარიში (შეფასება)

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დასრულდეს TDA, პროექტის სამეურვეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დასრულდეს სადემონსტრაციო პროექტის საბოლოო ანგარიში

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: დასრულდეს საბოლოო შეფასება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: პროექტის დასრულების ფაზა

სტატუსი: დასრულებული
სიბილგები ყველას ჩვენება

ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 2900000 EUR

სრული გრანტი საქართველოსთვის: 960000 EUR